ბრძანება:**ბ66.66220334**
თარიღი:**02/02/2022**

ბაღდათის მუნიციპალური ახალგაზრდობის პოლიტიკის შექმნასა და კოორდინაციაზე პასუხისმგებელი

სამუშაო ჯგუფის ფორმირებისა და სამუშაო ჯგუფის ფუნქციების

დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ე.“ და „ე.ვ.“ ქვეპუნქტების, 2021 წლის 15 აპრილს მუნიციპალიტეტის მერიასა და სსიპ - ახალგაზრდობის სააგენტოს შორის დადებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმისა და „პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავების, მონიტორინგისა და შეფასების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 20 დეკემბრის N629 დადგენილების შესაბამისად

ვბრძანებ:

1. ბაღდათის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდობის პოლიტიკის დოკუმენტის (სტრატეგია და სამოქმედო გეგმა) შემუშავების მიზნით, შეიქმნას სამუშაო ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით:

ა) **მინდია კიკნაველიძე** განათლების, კულტურის და სპორტის სამსახურის უფროსი - სამუშაო ჯგუფის წევრი და ჯგუფის კოორდინატორი;

ბ) **მერაბ ზირაქაძე -** მერის მოადგილე ;

გ) **ნინო გოგავა** - სამუშაო ჯგუფის წევრი და ჯგუფის კოორდინატორი; მუნიციპალიტეტის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახური;

დ) **ლაშა რობაქიძე**-სამუშაო ჯგუფის წევრი და ჯგუფის კოორდინატორი; მუნიციპალიტეტის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახური;

ე) **ლერი გუმბერიძე** - საფინანსო საბიუჯეტო სამსახურის უფროსი;

ვ) **მარეხი მშვენიერაძე** - სოციალური სამსახურის უფროსი;

ზ) **ირინა ტყეშელაშვილი** - - მუნიციპალიტეტის საკრებულოს კულტურის, განათლების, სპორტის, ჯანმრთელობის დაცვის, სოციალურ საკითხთა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე

თ) **ნატო ნატრიაშვილი -** ადმინისტრაციული სამსახურის, იურიდიული განყოფილების III კატეგორიის უფროსი სპეციალისტი;

ი) **სოფიკო ნატრიაშვილი** - გენდერულ საკითხებზე პასუხისმგებელი პირი;

კ) **ქეთევან ქოჩიაშვილი -** ახალგაზრდული საბჭოს ხელმძღვანელი;

2. სამუშაო ჯგუფის მუშაობაში მონაწილეობის სურვილი გამოხატეს:

არასამთავრობო ორგანიზაცია „სამეცნიერო ინტელექტუალური კლუბი თაობათა დიალოგი“.

დაინტერესებული მხარის ინტერესებს წარმოადგენენ - მოქალაქეები, ახალგაზრდები, ახალგაზრდული საბჭოს წარმომადგენელები, სათემო ორგანიზაციები, ახალგაზრდული ორგანიზაციები;

3. სამუშაო ჯგუფის ფუნქციებს წარმოადგენს:

ა) მუნიციპალური ახალგაზრდობის პოლიტიკის შექმნასა და კოორდინაციაზე პასუხისმგებელი სამუშაო ჯგუფის ფორმირება;

ბ) სიტუაციის ანალიზის ჩატარება - ახალგაზრდული სფეროს პრობლემების პირველადი ანალიზის ჩატარება;

გ) ხედვისა და ლოგიკური ჩარჩოს ფორმულირება;

დ) სამოქმედო გეგმის შემუშავება და ბიუჯეტირება;

ე) საჯარო კონსულტაციები - ახალგაზრდების მონაწილეობა ახალგაზრდობის პოლიტიკის შექმნის პროცესში.

ვ) ახალგაზრდობის პოლიტიკის მონიტორინგი და შეფასება.

4. სამუშაო ჯგუფის მდივნის ფუნქციის შესრულება დაევალოს ახალგაზრდული საბჭოს ხელმძღვანელს - **ქეთევან ქოჩიაშვილს.**

5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე;

6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ.ქუთაისი, კუპრაძის ქ.N11), ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

კახა ენუქიძე

ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერია-ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერი

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი